რევაზ გველესიანი

CV

მისამართი: 0186 თბილისი

უნივერსიტეტის ქ. №2. თსუ X კორპუსი,

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა, ოთახი 409.

ელ.ფოსტა: revaz.gvelesiani@tsu.ge

rewas_von_gwelessiani@yahoo.com

რევაზ გველესიანი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის (GDI) დირექტორი. მან 1978 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 1981 წელს - ასპირანტურა პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა მ.ვ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მეცნიერ-ხელმძღვანელები, პროფესორი ალექსანდრე ბაჯელიძე და პროფესორი ნათან შეხეტი), სადოქტორო კი - ზაარლანდის (გფრ) უნივერსიტეტში (მეცნიერ-კონსულტანტი პროფესორი ჰერმან ალბეკი) და დაიცვა თბილისში, შესაბამისად, 1982 და 1990 წლებში. სადისერტაციო ნაშრომები ეძღვნებოდა საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებს შორის არსებულ კონფლიქტებს და მათი დაძლევის გზებს.

რევაზ გველესიანს გამოქვეყნებული აქვს 150 სამეცნიერო ნაშრომი საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების იერარქიაში არსებული წინააღმდეგობების დაძლევის, სახელმწიფოს მიერ რაციონალური და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების და მეწარმეობის ახალი კულტურის ფორმირებისა და განვითარების შესახებ ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის 8 მონოგრაფია, რომელთაგან ერთმა 2000 წელს გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD), ხოლო მეორემ 2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია დაიმსახურა, 2

სახელმძღვანელო (პირველი ქართული სახელმძღვანელო „ეკონომიკურ პოლიტიკაში" – თანაავტორობით) და 16 სტატია საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

რევაზ გველესიანს მოპოვებული აქვს 16 საერთაშორისო სამეცნიერო სტიპენდია და 2 სასწავლო-საგანმანათლებლო გრანტი (DFG-1, DAAD-8, Friedrich-Ebert-Stiftung-1, Daimler-Benz-Stiftung-1, Volkswagen-Stiftung-1, Feilmeier&Junker GmbH - 4, University of Piraeus - „Hellenic Aid'' – 1, International Visegrad Fund's – 1). ის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწეოდა ბერლინის, ტიუბინგენის, მიუნხენის, ბონის, ფრაიბურგის, ბრანდენბურგის, ზაარლანდის, პოტსდამის უნივერსიტეტებში, ბერლინის მეცნიერებისა და პოლიტიკის ფონდის საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების გერმანულ ინსტიტუტში (SWP), ეკონომიკური კვლევების გერმანულ ინსტიტუტში (DIW) და თანამშრომლობდა ისეთ ცნობილ მეცნიერებთან, როგორებიც არიან, პროფესორები: ჰერმან ალბეკი, ჰარალდ კუნცი, ჰაიკო შტეფენსი, უვე ჰალბახი, ანგელა მიკლეი, გიუნტერ ფალტინი, ნორბერტ კუნცი, ვოლფგანგ ვენგი, ნეანტრო საავედრა-რივანო, მარიუს გავრილეტეა და სხვები.

რევაზ გველესიანი, გერმანიის უნივერსიტეტების გარდა, მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ნიუ-იორკის, ლონდონის, რომის, ფლორენციის, მილანის, პარმას, ტრენტოს, პალერმოს, სასსარის (ალგერო, იტალია), მადრიდის უნივერსიტეტებში და ვენის დიპლომატიურ აკადემიაში. ამასთან, 2015 წლის ივნისში რომის ტრეს უნივერსიტეტში ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE, USA) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე თსუ–ს მეცნიერთა, მათ შორის რევაზ გველესიანის, კვლევებმა ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა, რის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის მეორე ადგილი მიენიჭა.

რევაზ გველესიანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა (2005 წ.) და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი (2006 წ.), რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ ბერლინის (ტექნიკურ და თავისუფალ), პოტსდამის, ცუკუბას, რომის საპიენზას და მისკოლცის (უნგრეთი) უნივერსიტეტებთან.

რევაზ გველესიანი ხელმძღვანელობს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას და ეკონომიკის სამაგისტრო

პროგრამის მოდულს „ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია.” მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა 17 დოქტორანტმა, ხოლო 11 აგრძელებს მუშაობას თავიანთ საკვალიფიკაციო ნაშრომებზე. მაგისტრატურაში მას მიჰყავს შემდეგი სალექციო კურსები: „ეკონომიკური პოლიტიკის თეორია;” „განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა;” „მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა;” „ეკონომიკური დიპლომატია.”

რევაზ გველესიანი ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის, ვაშინგტონის მეცნიერების პროგრესის ასოციაციის, იტალიის გამოყენებითი ეკონომიკის ასოციაციის, ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრია. ამჟამად ის არის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და ეკონომიკური პროფილის რამდენიმე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2016 წელს იგი არჩეული იქნა ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) ვიცე პრეზიდენტად.

რევაზ გველესიანი ხელმძღვანელობდა ეკონომიკის სექციას – მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის (WASET) მიერ მადრიდის უნივერსიტეტში (10-11 ნოემბერი, 2014), ხოლო ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) მიერ სასსარის (ალგერო) უნივერსიტეტში (14-16 ივნისი, 2017) ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. ამასთან, იგი მონაწილეობდა IABE-ს 2018 წლის 14-16 ივნისს მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაში, როგორც მომხსენებელი და სამეცნიერო კომიტეტის წევრი. 2019 წლიდან რევაზ გველესიანი არჩეულია ჟურნალის „International Journal of Global Sustainability (IJGS, USA, Las Vegas, Nevada)” – სარედაქციო საბჭოს წევრად.

რევაზ გველესიანი 2006-2014 წლებში იყო თსუ აკადემიური საბჭოს წევრი, 2012-2016 წლებში კი საქართველოს ფინანსთა მინისტრის სათათბირო ორგანოს – მრჩეველთა საბჭოს წევრი. იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით.